ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: ზიმო

საფუძველი: 18.07.2013წ. №12/13199204-16

მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. №34

საკ.კოდი: 01.14.03.040.092

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – AR1110910 17.04.2013წ. №645305

ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი IV კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (23.07.13) დადგინდა:

„თ-ა" ფასადზე ±0.00 ნიშნულზე ე-გ მონაკვეთში დამატებულია ლითონის მოაჯირები და არ არის მოწყობილი ორი სვეტი.

„1-6" ფასადზე +2.55 ნიშნულზე 5-6 მონაკვეთში შემცირებულია აივნის გაბარიტი. +12.45 ნიშნულზე 4-6 მონაკვეთში აივნებზე დამატებულია საჩრდილობლები. 4-5 მონაკვეთში +15.75 ნიშნულზე გაზრდილია ფანჯრის ღიობის სიმაღლე. +19.10 ნიშნულზე 3-4 მონაკვეთში დამატებულია ფანჯარა.

„ა-თ" ფასადზე +7.50 ნიშნულზე ა-ბ მონაკვეთში შემცირებულია ფრამუგის გაბარიტი, ამავე მონაკვეთში +14.10 ნიშნულზე ფრამუგას მონაცვლებული აქვს ადგილი. აღნიშნულ ნიშნულზე ბ-ბ და ზ-ზ ღერძებთან შეცვლილია აივნების კონფიგურაცია. +17.40 ნიშნულზე ბ-ზ მონაკვეთში 3-3 ღერძზე გაზრდილია ფანჯრების სიმაღლე, ხოლო +20.75 ნიშნულზე გაზრდილია ვიტრაჟების სიმაღლე. +20.75 ნიშნულზე ზ-ზ ღერძთან არ არის მოწყობილი ფრანგული აივანი.

„6-1" ფასადზე 6-4 მონაკვეთში +12.45 ნიშნულზე დამატებულია საჩრდილობელი.

ფასადებზე დამატებულია ანტენები. +20.75 ნიშნულზე კედლების ნაწილი არ არის შეღებილი, შეცვლილია შუშაბანდების კონფიგურაცია და მათი გაბარიტები.

-3.00 ნიშნულზე გ-ე და 1-2 მონაკვეთებს შორის დამატებულია ორი კოლონა. 3-3 ღერძზე ა-ა და თ-თ ღერძებთან მოწყობილია პილონები. +19.10 ნიშნულზე 5-6 მონაკვეთში და +20.75 ნიშნულზე 1-2 მონაკვეთში გაუქმებულია შიდა კიბეები.

ბ. პაკელიანი

ლ. ცინცაძე